

შპს ბენე ექსკლუზივი
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(არააუდირებული)



სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	6

შპს ბენე ექსკლუზივი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	3,547,887	3,683,205	3,093,289
		3,547,887	3,683,205	3,093,289
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	24,431	9,225	26,334
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	857,906	847,436	663,219
მარაგები	7	45,717	35,923	37,704
მოთხოვნები პარტნიორზე გაცემული სესხიდან		1	20,001	23,281
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-	1,842
		928,055	912,585	752,380
მთლიანი აქტივები		4,475,944	4,595,792	3,845,671
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გადაფასების რეზერვი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(1,993,317)	(997,314)	(586,482)
		(1,993,317)	(997,314)	(586,482)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	1,118,034	-	1,374,252
		1,118,034	-	1,374,252
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	8	1,145,079	2,463,235	1,230,974
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	3,948,603	2,924,188	1,754,719
გადასახდელი პროცენტი		14,309	2,132	1,180
საგადასახადო ვალდებულებები		243,232	203,548	71,027
		5,351,223	5,593,103	3,057,900
მთლიანი ვალდებულებები		6,469,257	5,593,103	4,432,152
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,475,940	4,595,789	3,845,670

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 16 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

რომან მადატოვი

შპს ბენე ექსკლუზივი
ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	3,547,887	3,683,205	3,093,289
		3,547,887	3,683,205	3,093,289
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	24,431	9,225	26,334
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	857,906	847,436	663,219
მარაგები	7	45,717	35,923	37,704
მოთხოვნები პარტნიორზე გაცემული სესხიდან	1	20,001	20,001	23,281
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-	1,842
		928,055	912,585	752,380
მთლიანი აქტივები		4,475,944	4,595,792	3,845,671
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გადაფასების რეზერვი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(1,993,317)	(997,314)	(586,482)
		(1,993,317)	(997,314)	(586,482)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	8	1,118,034	-	1,374,252
		1,118,034	-	1,374,252
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	8	1,145,079	2,463,235	1,230,974
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	3,948,603	2,924,188	1,754,719
გადასახდელი პროცენტი		14,309	2,132	1,180
საგადასახადო ვალდებულებები		243,232	203,548	71,027
		5,351,223	5,593,103	3,057,900
მთლიანი ვალდებულებები		6,469,257	5,593,103	4,432,152
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		4,475,940	4,595,789	3,845,670

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 16 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

რომან მადატოვი

შპს ბენე ექსკლუზივი
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2024	2023
ამონაგები	10	13,395,157	12,500,432
თვითღირებულება	11	(12,024,832)	(10,144,628)
საერთო მოგება		1,370,325	2,355,804
სხვა შემოსავლები		24,706	24,592
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(2,123,258)	(2,300,422)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	17,910	7,932
სხვა ხარჯები		(13,435)	(17,408)
საოპერაციო მოგება		(723,752)	70,498
ფინანსური ხარჯი	14	(272,250)	(429,140)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(272,250)	(429,140)
მოგება დაბეგვრამდე		(996,002)	(358,642)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(996,002)	(358,642)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(996,002)	(358,642)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 16 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

რომან მადატოვი

შპს ბენე ექსკლუზივი
ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

		2024	2023
ამონაგები	10	13,395,157	12,500,432
თვითღირებულება	11	(12,024,832)	(10,144,628)
საერთო მოგება		1,370,325	2,355,804
სხვა შემოსავლები		24,706	24,592
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(2,123,258)	(2,300,422)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	17,910	7,932
სხვა ხარჯები		(13,435)	(17,408)
საოპერაციო მოგება		(723,752)	70,498
ფინანსური ხარჯი	14	(272,250)	(429,140)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(272,250)	(429,140)
მოგება დაბეგვრამდე		(996,002)	(358,642)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა მოგება		(996,002)	(358,642)
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(996,002)	(358,642)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 16 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



რომან მადატოვი

შპს ბენე ექსკლუზივი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	სხვა ცვლილებები	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	(586,482)	(586,482)
წმინდა მოგება	-	(52,190)	-	(358,642)	(410,832)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(52,190)	-	(358,642)	(410,832)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(52,190)	-	(945,124)	(997,314)
წმინდა მოგება	-	-	-	(996,002)	(996,002)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-	(996,002)	(996,002)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	(1,993,316)	(1,993,316)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 16 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

რომან მადატოვი

შპს ბენე ექსკლუზივი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	სხვა ცვლილებები	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელ ი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	(586,482)	(586,482)
წმინდა მოგება	-	(52,190)	-	(358,642)	(410,832)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(52,190)	-	(358,642)	(410,832)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(52,190)	-	(945,124)	(997,314)
წმინდა მოგება	-	-	-	(996,002)	(996,002)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-	-
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-	(996,002)	(996,002)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	(1,993,316)	(1,993,316)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 16 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

რომან მადატოვი



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ბენე ექსკლუზივი (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2018 წლის 03 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). საიდენტიფიკაციო კოდი: 406265624

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანის რაიონი, ქეთევან დედოფალის გამზ., N 32.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია: რომან მადატოვი, პ.ნ 01011007568

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პრემიუმ კლასის ავტომანქანებით მომსახურება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2024 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

კომპანია ფინანსური ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №5-6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ.

2.2 შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე.

2.2.1- მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

2.3 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

2.4 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

კომპანიის საადრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, საბუღალტრო აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულია ხარჯების ფუნქციების მიხედვით კლასიფიკაცია, რომელიც

უფრო საიმედო და შესაბამისია კომპანიის სამეურნეო პროცესების ასახვისთვის და ასევე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის

2.5 გადასახადები

2.5.1 მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს განსხვავება საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დროებითი სხვაობები და წარმოქმნას გადავადებული მოგების გადასახადი აქტივის, ან ვალდებულების სახით.

2016 წელს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანია ვალდებული არ არის გადაიხადოს მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება სავალდებულო მოვლენა.

სავალდებულო მოვლენა არის ქმედება, რომელიც იწვევს მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებას. სავალდებულო ქმედება მოიცავს დივიდენდების განაწილებას, ხარჯებსა და გადახდებს, რომლებიც დაკავშირებული არ არიან ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციის ქვეყნებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილ ავანსებს, უსაბუთო ხარჯებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ქმედებებს.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება საანგარიშო წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების განაკვეთი არის 15%, რომლის გადახდაც ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე და რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის.

2.5.2 დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მიღებული ავანსები ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება.

2.6 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებას მომწოდებლის წინაშე. კომპანია ვალდებულებას აღიარებს

მოკლევადიანად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. კომპანიის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და შეუზღუდავ ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

2.7.1 უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული მუხლები ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის გადაანგარიშდება ამ თარიღისათვის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ანგარიშგების მომზადებისას.

	31/12/2024	31/12/2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

2.8 მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდების ან მომსახურების გაწევისას. კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს აღიარებს მოკლევადიანად, თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში. სხვა შემთხვევაში ვალდებულება წარსდგება როგორც გრძელვადიანი. სავაჭრო მოთხოვნა საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

2.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალების ისტორიული ღირებულება მოიცავს:

ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათის გარეშე;

ბ) ნებისმიერ დახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის აქტივის გამოსაყენებლად;

ძირითადი საშუალებების შემენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

მიწის ნაკვეთი	-
შენობა-ნაგებობები	-
ოფისის აღჭურვილობა	-
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	10-15

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

სატრანსპორტო საშუალებების კლასი მოიცავს ოდენობას, რომელსაც კომპანია ფინანსური იჯარის ფარგლებში, როგორც მოიჯარე ფლობს.

2.10 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 2-10 წელი.

2.11 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

2.12 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2.13 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და

ფულადი სახსრების ეკვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით.

შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს, არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით ისე, რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია; (ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან (გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს. აქტივის კონტროლის ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით. საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი. საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური იჯარები

აღიარება და შეფასება. იჯარის ვადის დასაწყისისათვის კომპანია აღიარებს უფლებებს აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებაში, როგორც აქტივებს და ვალდებულებებს საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით. **შემდგომი შეფასება.** მინიმალური საიჯარო გადასახდელები გადანაწილებულია დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

2.14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით.

2.15 დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

2.16 ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

2.17 იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას.

2.18 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ასახულია წინამდებარე ანგარიშგებაში. ხოლო მოვლენები, რომლებიც თავს იჩენს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე და გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, აისახება ახსნა-განარტებით შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

3.2 საექვო და უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორებისგან თანხების ამოღება. აღნიშნული რეზერვის შეფასებისას კომპანიის ხელმძღვანელობა ინდივიდუალურად აფასებს თითოეულ დებიტორს და განიხილავს მის გადახდისთვის მზაობას.

შპს ბენე ექსკლუზივი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის (ლარში)

შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერი ალური აქტივები	სულ
31-Dec-23	-	-	-	176,095	5,197,610	39,147	5,412,852
შემოსვლა	-	-	-	23,254	376,600	-	399,854
გასვლა	-	-	-	-	(87,803)	-	(87,803)
31-Dec-24	-	-	-	199,349	5,486,407	39,147	5,724,903
ცვეთა და გაუფასურება							
31-Dec-23	-	-	-	(69,134)	(1,631,311)	(29,202)	(1,729,647)
პერიოდის ცვეთა	-	-	-	(27,409)	(458,420)	(1,031)	(486,861)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	39,491	-	39,491
31-Dec-24	-	-	-	(96,543)	(2,050,240)	(30,233)	(2,177,016)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31-Dec-23	-	-	-	106,961	3,566,299	9,945	3,683,205
31-Dec-24	-	-	-	102,806	3,436,167	8,914	3,547,887

სატრანსპორტო საშუალებების კლასი მოიცავს ოდენობას, რომელსაც კომპანია ფინანსური იჯარის ფარგლებში, როგორც მოიჯარე ფლობს.

გამოუსყიდავი ლიზინგის აქტივების ღირებულება 2024 წლის ბოლოს არის: 185,696.

შენიშვნა 5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
ნაღდი ფული სალაროში	955	1,490
ეროვნული ვალუტა ბანკში	18,356	7,651
უცხოური ვალუტა ბანკში	5,120	84
სულ	24,431	9,225

შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	667,494	724,132
გადახდილი ავანსები	85,633	112,128
სხვა მოთხოვნები	104,779	11,176
სულ	857,906	847,436

შენიშვნა 7. მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	12/31/2024	12/31/2023
საქონელი	45,716	35,922
სულ	45,716	35,922

მარაგებში გათვალისწინებულია საწვავის ნაშთის თვითღირებულება

შენიშვნა 8. სესხები

	12/31/2024	12/31/2023
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	1,026,412	-
ფინანსური იჯარის ვალდებულება (გრძელვადიანი ნაწილი)	91,621	-
სულ გრძელვადიანი სესხები	1,118,034	-
მოკლევადიანი		
საბანკო სესხები (მოკლევადიანი ნაწილი)	731,921	1,947,705
იურიდიული პირებისგან აღებული სესხები (მოკლევადიანი)	367,900	108,600
ფინანსური იჯარის ვალდებულება (მოკლევადიანი ნაწილი)	45,259	406,930
	1,145,079	2,463,235
სულ სესხები	2,263,113	2,463,235

იურიდიული პირებისგან მიღებული სესხის პროცენტი განისაზღვრება, ეროვნული ბანკის მიერ ყოველთვიურად დადგენილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

შპს ბენე ექსკლუზივი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

შენიშვნა 9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	3,682,031	2,747,944
გადასახდელი ხელფასები	184,989	153,664
მიღებული ავანსები	81,523	21,949
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	60	630
სულ	3,948,603	2,924,188

შენიშვნა 10. ამონაგები

ამონაგები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
საქონლის გაყიდვა	-	-
მომსახურების გაწევა	13,395,157	12,500,432
სულ	13,395,157	12,500,432

შენიშვნა 11. თვითღირებულება

	2024	2023
პირდაპირი ხელფასი	(3,790,103)	(2,411,702)
საწვავის ხარჯები	(1,564,898)	(1,549,126)
დაზღვევა	(108,942)	(62,007)
ავტომანქანის ექსპლუატაციის ხარჯი	(490,897)	(489,925)
ცვეთა და ამორტიზაცია	(458,420)	(426,315)
სატრანსპორტო საშუალებების ქირავნობა	(4,328,271)	(3,862,478)
იჯარის ხარჯები	(774,551)	(907,266)
სამივლინებო ხარჯები	(129,882)	(152,907)
საშუამავლო მომსახურების ხარჯი	(158,535)	(198,075)
ივენტის მოწყობის ხარჯები	(111,959)	-
თვითღირებულების სხვა ხარჯები	(108,373)	(84,829)
სულ	(12,024,832)	(10,144,628)

შენიშვნა 12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,102,157)	(1,378,049)
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი	(268,499)	(413,050)
საკონსულტაციო ხარჯი	(83,695)	(58,000)
ოჯრის ხარჯი	(229,748)	(158,291)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(28,440)	(23,174)
საბანკო ხარჯები	(76,352)	(28,277)
საპენსიო შენატანების ხარჯი	(93,428)	(72,894)
საგადასახადო ხარჯები	(31,163)	(29,739)
სხვა ხარჯი	(209,776)	(138,948)
სულ	(2,123,258)	(2,300,422)

შენიშვნა 13. სხვა შემოსულობა/(ზარალი)-ნეტო

	2024	2023
საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	3,001	(19,518)
შემოსულობები ავტოზარალის ანაზღაურებიდან	108,012	16,156
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(48,325)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(44,777)	11,294
სულ	17,910	7,932

შენიშვნა 14. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

	2024	2023
ფინანსური ხარჯი		
საპროცენტო ხარჯები	(272,250)	(429,140)
სულ ფინანსური დანახარჯები	(272,250)	(429,140)

შენიშვნა 15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	2024	2023
<i>მომსახურების შეძენა</i>		
ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო	1,242,536	1,119,327
<i>საქონლის შეძენა</i>		
ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო	-	3,120.00
სულ	1,242,536	1,122,447

ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმო წარმოადგენს სატრანსპორტო კომპანიას რომელიც არის დაკავშირებული კომპანია და მათგან მიღებული მომსახურება განხორციელდა საბაზრო ფასის პირობით.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია:

	2024	2023
<i>შემოსავალი მომსახურებიდან</i>		
ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმო	94,727	75,467
სულ	94,727	75,467

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ სხვა ოპერაციები:

	2024	2023
<i>იჯარის ხარჯი</i>		
ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმო	193,112	134,007
<i>საპროცენტო ხარჯი</i>		
ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმო	12,045	3,604
<i>საპროცენტო შემოსავალი</i>		
ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმო	765	1,684
სულ	205,921	139,295

შპს ბენე ექსკლუზივი
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

დაკავშირებული მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციების დეტალური ნაშთები:

	2024	2023
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 6)		
სავაჭრო მოთხოვნები ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოსთან	10,460	7,130
მოთხოვნები პარტნიორზე გაცემული სესხიდან ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმო	-	20,000
მისაღები პროცენტები ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმო	-	-
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი (შენიშვნა 9)		
სავაჭრო ვალდებულებები ხელმძღვანელობის კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოსთან	2,992,413	2,073,370
სასესხო ვალდებულება (შენიშვნა 8) ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმო	367,900	108,600
გადასახდელი პროცენტი ხელმძღვანელობის კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმო	14,309	2,132
სულ	3,385,081	2,211,232

მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საექვო ვალების ხარჯები არ აღიარებულა.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2024	2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	472,418	435,931
სულ	472,418	435,931

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან განხორციელებული სხვა
 ოპერაციები

	2024	2023
იჯარის ხარჯი	45,000	-
სულ	45,000	-

შენიშვნა 16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ
 ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია საწარმოს
 ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 16 სექტემბერს.